უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
საფეხური 6

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

10 თებერვალი 2022

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი - ივანნა
გვარი - მაჩიტიძე

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	საერთაშორისო ურთიერთობები
2	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3	კვალიფიკაციის დონე[2]	დონე 6
4	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240
9	განხორციელების ადგილი[5]	6010, საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის/ რუსთაველის ქუჩა 35/32
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული 21.01.2022, MES 8 22 0000051193
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	30.12.2021

[1] დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[4] განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5] ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	30.12.2022
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	30.12.2028

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურაში არსებული სავალდებულო სასწავლო კურსი „სოციოლოგიური კვლევის მეთოდები და კვლევის დიზაინი“ ჩანაცვლდეს ორი სავალდებულო სასწავლო კურსით: „აკადემიური წერა და კვლევის დიზაინი“ და „კვლევის მეთოდები პოლიტიკის მეცნიერებებში/სოციალურ მეცნიერებებში“ (რომლის შინაარსში წარმოდგენილი იქნება როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრი მეთოდები).
2. რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურის სავალდებულო ნაწილს დაემატოს სასწავლო კურსი „ეკონომიკის საფუძვლები“, რომელიც უნდა განისაზღვროს წინაპირობად სასწავლო კურსებისთვის „საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის საფუძვლები“ და „გეოეკონომიკა და გეოსტრატეგია“;
3. რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურა და სასწავლო კურსების სილაბუსები მოვიდეს ურთიერთ შესაბამისობაში და თავიდან იქნას აცილებული ტექნიკური თუ შინაარსობრივი ხარვეზები.
4. რეკომენდებულია სასწავლო კურსების „მსოფლიო პოლიტიკა 1“, „მსოფლიო პოლიტიკა 2“, „მსოფლიო პოლიტიკა 3“, „სისტემური საერთაშორისო ურთიერთობები“, „საქართველო მსოფლიო ცივილიზაციების კონტექსტში“ მიზნების და სწავლის შედეგების გათვალისწინებით, სათაურები და შინაარსი მოვიდეს შესაბამისობაში.
5. რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში „პოლიტიკა (ზოგადი კურსი)“, „რეგიონთმცოდნეობის საფუძვლები“, „შედარებითი პოლიტიკა“ განხორციელდეს შინაარსობრივი ცვლილებები.
6. რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსები „შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში“ და „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები“, რათა უზრუნველყოფილ იქნას საერთაშორისო ურთიერთობების ყველა ძირითადი თეორიისა და სკოლის განხილვა.
7. რეკომენდებულია, დაზუსტდეს სასწავლო კურსების „საერთაშორისო უსაფრთხოება და წესრიგი“; „გეოეკონომიკა და გეოსტრატეგია“; „საერთაშორისო პოლიტიკა და სტრატეგიული დაზვერვა“ სათაურები, შინაარისი და გაგაიხედოს/განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა.
8. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სილაბუსის დანართში მოხდეს წარმოდგენილი სალექციო თემატიკის დეტალიზაცია და თემების შესატყვისი ძირითადი ლიტერატურის მითითება.
9. რეკომენდებულია, პროგრამის სილაბუსებში ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის განახლება ახალი გამოცემებით, ნათარგმნი წიგნებით,

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

ინგლისურენოვანი წიგნებით, პოლიტიკის დოკუმენტებით, ინტერნეტ-რესურსებით (ვიდეო ლექციები, კვლევითი ორგანიზაციების ვებგვერდები, სასარგებლო ბმულები (კანონებისა და სხვადასხვა უწყებების საქმიანობის გასაცნობად), საერთაშორისო ორგანიზაციების ვებგვერდები და სხვ.)

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 1 წელი (2022 წლის 30 დეკემბრამდე), საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2021 წლის 30 დეკემბერს. შესაბამისად, სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ანგარიში წარმოადგინა 27 დეკემბერს 2022 წელს. როგორც აღნიშნულია პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტში, შესასრულებელი რეკომენდაციების და რჩევების ანგარიშის მომზადების პროცესი დაიწყო 2022 წლის მაისიდან.

გაცემული რეკომენდაციების და რჩევების საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინების მიზნით სამუშაო ჯგუფის მიერ სამოქმედო გეგმის შედგენა განხორციელდა საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ. სამუშაო პროცესის ფარგლებში მოხდა შესასრულებელი რეკომენდაციების განხილვა და პროგრამაში საჭირო ცვლილებების განხორციელების ეტაპების დადგენა. აღნიშნული ცვლილებები განხილული და დადასტურებული იქნა იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს მიერ. მისასალმებელია, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა შესასარულებელი რეკომენდაციები და განახორციელა შესაბამისი ცვლილებები როგორც პროგრამაში და სილაბუსებში, ისე დანარჩენ დოკუმენტაციაში, როგორიცაა ბიუჯეტი, აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. ანგარიშისთვის წარსადგენი დოკუმენტაციის პაკეტი დამტკიცდა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილებით 14 ივლისს 2022 წლის.

რჩევ(ებ)ი[8]

1. სასურველია, ფორმულირება „მშობლიურ და უცხოურ ენებზე (ინგლისური და ერთერთი სხვა ენა არჩევით) კომუნიკაციის უნარების განვითარება“ შეიცვალოს ფორმულირებით „მშობლიურ და ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის უნარების განვითარება“ მეორე უცხო ენის არჩევითი სტატუსის გათვალისწინებით.
2. სასურველია, პროგრამის შედეგების ლაკონური ფორმულირება;

---

[7] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[8] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

3. სასურველია დაზუსტდეს კურიკულუმის რუკა მასში ყველა სავალდებულო სასწავლო კურსის ასახვის მიზნით გაცნობა/გაღრმავება /განმტკიცების დონეზე (მაგ. ინგლისური ენის სასწავლო კურსი).

4. სასურველია, სასწავლო კურსს „შედარებითი პოლიტიკა“ რომლის წინაპირობაა „პოლიტიკა (ზოგადი კურსი)“ წინაპირობად დაემატოს კიდევ ერთი სასწავლო კურსი: „რეგიონთმცოდნეობის საფუძვლები“.
5. სასურველია, სწავლის შედეგებში ასახული იყოს პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილი იმ სასწავლო კურსებისთვის, რომლებიც შინაარსიდან გამომდინარე ორიენტირებულია პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობისა სწავლების საფეხურის შესაბამისი ასპექტების განვითარებაზე;
6. სასურველია, საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში აისახოს საბაკალავრო თემისსაერთაშორისო ურთიერთობების თეორიასთან/სკოლასთან დაკავშირების აუცილებლობა.
7. სასურველია, დაიხვეწოს პრაქტიკის კომპონენტი და პრაქტიკის გავლის პროცესში აქცენტი გაკეთდეს პროგრამის სასწავლო კურსებით შეძენილი პროფესიული უნარჩვევების განვითარებაზე.
8. სასურველია, გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში.
9. სასურველია, ბიუჯეტში ჩაიდოს მეტი ფინანსური რესურსი აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების, სტუდენტების მხარდაჭერისა თუ სხვა აქტივობების განხორციელების მიმართულებით და ასევე, სამეცნიერო ლიტერატურისა და ჟურნალ-გაზეთების შეძენისთვის.
10. სასურველია გაძლიერდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები მეორე სტანდარტში გაცემულ რეკომენდაციებთან მიმართებით.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა შესასრულებელი რეკომენდაციების ანგარიშის მომზადების პროცესის აღწერით ნაწილში, გაცემული რჩევების შესრულების ანგარიშის მომზადების პროცესი დაიწყო 2022 წლის მაისიდან.

სამუშაო ჯგუფმა განიხილა აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რჩევები, რის შემდგომ მან დაადგინა საჭირო ცვლილებების განხორციელების ეტაპები. ხაზგასასმელია, რომ რჩევების უმეტესობის გაზიარება მიმდინარეობს საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის საჭიროებებიდან გამომდინარე.

[9] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

ანგარიშის მიხედვით რჩევები 1, 9, 10 გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ, ხოლო რჩევების უმეტესობაზე მუშაობა მიმდინარეობს. მხოლოდ ორი რჩევა არ იქნა გაზიარებული - შედარებითი პოლიტიკის საგნის წინაპირობა და პრაქტიკის კომპონენტის სილაბუსის დახვეწის საკითხი.

დამატებითი ინფორმაცია[10]

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	**1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგი და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
კომპონენტის დასახელება[13]	**1.1 პროგრამის მიზნები**
რჩევა I	სასურველია, ფორმულირება „მშობლიურ და უცხოურ ენებზე (ინგლისური და ერთერთი სხვა ენა არჩევით) კომუნიკაციის უნარების განვითარება“ შეიცვალოს ფორმულირებით „მშობლიურ და ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის უნარების განვითარება“ მეორე უცხო ენის არჩევითი სტატუსის გათვალისწინებით.
შეფასება	**გათვალისწინებულია.** რჩევა გაზიარებულია, შესაბამისი ცვლილებები ასახულია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების ნაწილში.
მტკიცებულებ(ები)ა	საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამა

სტანდარტის დასახელება[14]	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

[10] საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

[11] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

[12] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[13] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[14] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

კომპონენტის დასახელება[15]	2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია I[16]	რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურაში არსებული სავალდებულო სასწავლო კურსი „სოციოლოგიური კვლევის მეთოდები და კვლევის დიზაინი“ ჩანაცვლდეს ორი სავალდებულო სასწავლო კურსით: „აკადემიური წერა და კვლევის დიზაინი“ და „კვლევის მეთოდები პოლიტიკის მეცნიერებებში/სოციალურ მეცნიერებებში“ (რომლის შინაარსში წარმოდგენილი იქნება როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრი მეთოდები).
შეფასება	**შესრულებულია.** აღნიშნული რეკომენდაციის მიხედვით პირველ სემესტრში „აკადემიური წერის და კვლევის დიზაინის“ სასწავლო კურსი (3 კრედიტის მოცულობით) პროგრამას დაემატა. ასევე, სასწავლო კურსის „სოციოლოგიური კვლვების მეთოდები და კვლევის დიზაინის“ სათაური შეიცვალა და დაერქვა „კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“ (2 სემესტრი, 5 კრედიტის მოცულობით).
მტკიცებულებ(ები)ა	შესაბამისი საგნების სილაბუსები, პროგრამის სასწავლო გეგმა

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია II	რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურის სავალდებულო ნაწილს დაემატოს სასწავლო კურსი „ეკონომიკის საფუძვლები“, რომელიც უნდა განისაზღვროს წინაპირობად სასწავლო კურსებისთვის „საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის საფუძვლები“ და „გეოეკონომიკა და გეოსტრატეგია“
შეფასება	**შესრულებულია.** სასწავლო კურსი „ეკონომიკის საფუძვლები“ (3 კრედიტის მოცულობით) დაემატა საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში და განისაზღვრა „საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის საფუძვლების“ და „გამოყენებითი გეოპოლიტიკის“ წინაპირობად.
მტკიცებულებ(ები)ა	პროგრამის სასწავლო გეგმა და შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსები

[15] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[16] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია III	რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურა და სასწავლო კურსების სილაბუსები მოვიდეს ურთიერთ შესაბამისობაში და თავიდან იქნას აცილებული ტექნიკური თუ შინაარსობრივი ხარვეზები.
შეფასება	**შესრულებულია.** პროფესიული პრაქტიკის კრედიტების მოცულობა დაზუსტდა, ტექნიკური ხარვეზები და უზუსტობები აღმოიფხვრა; „შედარებითი პოლიტიკის „ და „საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის საფუძვლების“ სასწავლო კურსების სახელწოდებები თანხვედრაში მოვიდა პროგრამის სასწავლო გეგმასთან.
მტკიცებულებ(ები)ა	პროგრამის კურიკულუმი და შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსები

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია IV	რეკომენდებულია სასწავლო კურსების „მსოფლიო პოლიტიკა 1“, „მსოფლიო პოლიტიკა 2“, „მსოფლიო პოლიტიკა 3“, „სისტემური საერთაშორისო ურთიერთობები“, „საქართველო მსოფლიო ცივილიზაციების კონტექსტში“ მიზნების და სწავლის შედგების გათვალისწინებით, სათაურები და შინაარსი მოვიდეს შესაბამისობაში.
შეფასება	**შესრულებულია.** შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა და აისახა სასწავლო კურსების სილაბუსებში და პროგრამაშიც. განახლდა მსოფლიო პოლიტიკის სამივე სილაბუსის შინაარსობრივი მხარე, ასევე, „სისტემური საერთაშორისო ურთიერთობების“ და „საქართველოს მსოფლიო ცივილიზაციების კონტექსტის“ სილაბუსები. მისასალმებელია „საქართველო მსოფლიო ცივილიზაციის კონტექსტში“ და „სისტემური საერთაშორისო ურთიერთობების“ სილაბუსების განახლება თემატური გადაფარვების აცილების მიზნით.
მტკიცებულებ(ები)ა	- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა;

	- სილაბუსები

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია V	რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში „პოლიტიკა (ზოგადი კურსი)“, „რეგიონთმცოდნეობის საფუძვლები“, „შედარებითი პოლიტიკა“ განხორციელდეს შინაარსობრივი ცვლილებები.
შეფასება	**შესრულებულია.** ცვლილებები ასახულია შესაბამის სილაბუსებში. განახლდა ისეთი სასწავლო კურსების სილაბუსების შინაარსობრივი მხარე, როგორიცაა „პოლიტიკა“, „რეგიონმცოდნეობის საფუძვლები“, „შედარებითი პოლიტიკა“. თემატური აქცენტები სწორად დასმულია, თითოეული სასწავლო კურსის დარგობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით.
მტკიცებულებ(ები)ა	შესაბამის სასწავლო კურსების სილაბუსები

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია VI	რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსები „შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში“ და „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები“, რათა უზრუნველყოფილ იქნას საერთაშორისო ურთიერთობების ყველა ძირითადი თეორიისა და სკოლის განხილვა.
შეფასება	**შესრულებულია.** აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით ცვლილებები აისახა „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების“ სასწავლო კურსის შემთხვევაში.
მტკიცებულებ(ები)ა	ორივე საგნის სილაბუსები

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია VII	რეკომენდებულია, დაზუსტდეს სასწავლო კურსების „საერთაშორისო უსაფრთხოება და წესრიგი“; „გეოეკონომიკა და გეოსტრატეგია“; „საერთაშორისო პოლიტიკა და სტრატეგიული დაზვერვა“ სათაურები, შინაარისი და გაგაიხედოს/განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა.

შეფასება	**შესრულებულია.** აღნიშნული სასწავლო კურსების შემთხვევაში გადაიხედა სათაურები, რაც დასტურდება შესაბამისი შესაბამისი დანართებით (20,21,22). მოხდა გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურის გადახედვა/განახლება მიღებული რეკომენდაციის საფუძველზე.
მტკიცებულებ(ები)ა	- სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი 20, 21, 22)

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია VIII	რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სილაბუსის დანართში მოხდეს წარმოდგენილი სალექციო თემატიკის დეტალიზაცია და თემების შესატყვისი ძირითადი ლიტერატურის მითითება.
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულების პროცესშია.** პროგრამის განვითარებაში და სასწავლო პროცესში ჩართული სამუშაო ჯგუფი მიმდინარე რეჟიმში ახორციელებს თემატიკის დაზუსტებას სილაბუსების ფარგლებში. იქიდან გამომდინარე, რომ უნივერსიტეტის რეგულაცია არ ითვალისწინებს გვერდების რაოდენობის სავალდებულო მითითებას სასწავლო კვირების მიხედვით, ცვლილებები განხორციელდა გარკვეული სილაბუსების ფარგლებში (გვერდების მითეთება), ხოლო ნაწილი სილაბუსის ფარგლებში პროცესი მიმდინარეობს. ამავე დროს, სასურველია, იმ სილაბუსების შემთხვევაში (მაგ. „სტრატეგიული დაზვერვა და პოლიტიკა“, სადაც არ ხდება მასალების მითითება კვირების მიხედვით, განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები (როგორც ეს გაკეთდა „საერთაშორისო უსაფრთხოების“, „რეგიონთმცოდნეობის საფუძვლების“, „საქართველო მსოფლიო ცივილიზაციების კონტექსტში“ სასწავლო კურსის სილაბუსებში და სხვა).
მტკიცებულებ(ები)ა	სასწავლო კურსების სილაბუსები

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია IX	რეკომენდებულია, პროგრამის სილაბუსებში ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის განახლება ახალი გამოცემებით, ნათარგმნი წიგნებით, ინგლისურენოვანი წიგნებით, პოლიტიკის დოკუმენტებით, ინტერნეტ-რესურსებით (ვიდეო ლექციები, კვლევითი ორგანიზაციების ვებგვერდები, სასარგებლო ბმულები (კანონებისა და

	სხვადასხვა უწყებების საქმიანობის გასაცნობად), საერთაშორისო ორგანიზაციების ვებგვერდები და სხვ.)
შეფასება	**შესრულებულია.** იქიდან გამომდინარე, რომ რეკომენდაციაში არ არის მითითებული კონკრეტული სასწავლო კურსები, სადაც გამოყენებული წყაროების მრავალფეროვნება და განახლება პრობლემას წარადგენს, დაწესებულების მიერ წარდგენილი სილაბუსები ადასტურებს ლიტერატურის განახლებაზე უწყვეტ სამუშაო პროცესს.
მტკიცებულებ(ები)ა	- პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები

სტანდარტის დასახელება	4. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
კომპონენტის დასახელება	4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
რჩევა IX	სასურველია, ბიუჯეტში ჩაიდოს მეტი ფინანსური რესურსი აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების, სტუდენტების მხარდაჭერისა თუ სხვა აქტივობების განხორციელების მიმართულებით და ასევე, სამეცნიერო ლიტერატურისა და ჟურნალ-გაზეთების შეძენისთვის.
შეფასება	**გათვალისწინებულია.** უნივერსიტეტის ყოველწლიურ ბიუჯეტში ახალი ლიტერატურის შესაძენად გათვალისწინებულია საჭირო თანხები, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარდგენილი დოკუმენტაციით (მათ შორის ბიბლიოთეკის დირექტორის წერილი)
მტკიცებულებ(ები)ა	დანართები 25, 27, 28

სტანდარტის დასახელება	**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**
კომპონენტის დასახელება	**5.1 შიდა ხარისხის შეფასება**
რჩევა X	სასურველია გაძლიერდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები მეორე სტანდარტში გაცემულ რეკომენდაციებთან მიმართებით.
შეფასება	**გათვალისწინებულია.** დაწესებულების მიერ გათვალისწინებულია ხარისხის დაგეგმვის, შეფასების, მონიტორინგის და გაუმჯობესების შესაბამისი პრინციპების უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს, რაც დასტურდება სასწავლო პროცესის

	მარეგულირებელი წესით, აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესით.
მტკიცებულებ(ები)ა	დანართები 29, 30, 31

თანდართული დოკუმენტაცია[17]

ექსპერტის ხელმოწერა

[17] თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა